



4346-15-3-2-202004230929



N 15-3/4346

23/04/2020

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ქალბატონ თეა წულუკიანს

წინადადება

მსჯავრდებული [REDACTED] სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების მოთხოვნის უფლების კანონშესაბამისი ვადის განსაზღვრის შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ქალბატონო თეა,

საქართველოს სახალხო დამცველს N1518/20 განცხადებით მიმართა პენიტენციური დეპარტამენტის N8 დაწესებულებაში განთავსებულმა მსჯავრდებულმა [REDACTED] მსჯავრდებული მიიჩნევდა, რომ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვის მიზნით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესაბამის ადგილობრივ საბჭოში მისი საქმის გადაგზავნა პენიტენციური დეპარტამენტის N8 დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან ხორციელდებოდა კანონმდებლობით დადგენილი ვადების დარღვევით.

ფაქტობრივი გარემოებები

საკითხის შესწავლის ფარგლებში სახალხო დამცველის აპარატმა პენიტენციური დეპარტამენტის N8 დაწესებულებიდან გამოითხოვა შესაბამისი ინფორმაცია და მსჯავრდებულ [REDACTED] მიმართ გამოტანილი განაჩენების ასლები.

წარმოდგენილი ინფორმაციისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 24 სექტემბრის განაჩენის თანახმად, [REDACTED] ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის

177-ე მუხლის პირველი ნაწილით და 19.177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. ამავე განაჩენით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 17 მარტის განაჩენი, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებულისთვის დანიშნული პირობითი მსჯავრი. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით.

საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით [REDACTED] სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, საიდანაც სასჯელის ნაწილი, თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით განისაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო სასჯელის დარჩენილი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით ჩათვალა პირობით. სასჯელის ვადის ათვლა დაიწყო დაკავების დღიდან - 2019 წლის 26 იანვრიდან. ამასთან, მსჯავრდებულს მოხდილად ჩათვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი - 2018 წლის 30 სექტემბრიდან 2018 წლის 12 ნოემბრის ჩათვლით.

N8 პენიტენციური დაწესებულების ცნობით, [REDACTED] საქმე შესაბამის ადგილობრივ საბჭოს წარედგინება დანიშნული სასჯელის სამი მეოთხედის მოხდის შემდეგ, რაც, დაწესებულების ცნობით, დგება 2020 წლის 22 ივნისს.¹

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლება შეიძლება მაშინ, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა მოსახდელი სასჯელის სამი მეოთხედი.²

საქართველოს პატიმრობის კოდექსის თანახმად, სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის კანონით დადგენილი ვადის მოხდის შემდგომ, ადმინისტრაცია საბჭოს დაუყონებლივ წარუდგენს შესაბამის შუამდგომლობას, რაც ეცნობება მსჯავრდებულს.³

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა წარმოდგენილი ინფორმაცია და გამოარკვია, რომ [REDACTED] მიმართ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის კანონით დადგენილი ვადა არასწორად არის გამოთვლილი.

კერძოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 24 სექტემბრის განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ [REDACTED] მიმართ განსაზღვრული სასჯელის ვადის ათვლა დაიწყო მისი დაკავების დღიდან - 2019 წლის 26 იანვრიდან. შესაბამისად, [REDACTED] პირობით ვადამდე გათავისუფლების მოთხოვნის უფლება უნდა მიანიჭებოდა აღნიშნული თარიღიდან დანიშნული სასჯელის სამი მეოთხედის - 1 წლისა და 6 თვის გასვლის შემდგომ - 2020 წლის 26 ივლისს. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ მსჯავრდებულს მოხდილად ჩათვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი - 2018 წლის 30 სექტემბრიდან 2018 წლის 12 ნოემბრის ჩათვლით - (44 კალენდარული

¹ N8 პენიტენციური დაწესებულების 2020 წლის 13 თებერვლის N43674/25 წერილი.

² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

³ საქართველოს პატიმრობის კოდექსის 42-ე მუხლის პირველი ნაწილი.

დღე). შესაბამისად, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის კანონით დადგენილი ვადა [REDACTED] მოხდელი ექნება 2020 წლის 12 ივნისს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა დამატებით მიმართა პენიტენციური დეპარტამენტის N8 დაწესებულებას [REDACTED] სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის კანონით დადგენილი სასჯელის ვადის გამოანგარიშებასთან დაკავშირებული გარემოებების გამორკვევის მიზნით⁴, თუმცა, დაწესებულებიდან მიღებული პასუხით⁵ საკითხი კვლავ ბუნდოვანი დარჩა.

საგულისხმოა, რომ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის თანახმად, „სასჯელის მოხდის დაწყებისთანავე პატიმრებისთვის ცნობილი უნდა იყოს, როდის შეეძლება გათავისუფლების თხოვნით მიმართვა მას შემდეგ, რაც მოხდინა მინიმალურ ვადას (რომელიც პირდაპირ განსაზღვრულია და/ან მითითებულია სასჯელის პროპორცია) და ის კრიტერიუმები, რომლებიც გამოიყენება გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას („დისკრეციული გათავისუფლების სისტემა“), ან როდის მიენიჭებათ გათავისუფლების უფლება, დადგენილი პერიოდის კონკრეტულ პირობებში მოხდის ან/და სასჯელის პროპორციაზე მითითების შედეგად („სავალდებულო გათავისუფლების სისტემა“).“⁶

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისთვის კანონით დადგენილი ვადის გამოანგარიშება მოხდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, რათა კანონმდებლობით გათვალისწინებული ხსენებული შეღავათის მსჯავრდებულის მიმართ გამოყენების შემთხვევაში, ამ უკანასკნელმა პენიტენციურ დაწესებულებაში არ გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაზე მეტი. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ მსჯავრდებულს გააჩნდეს ლეგიტიმური მოლოდინი, თუ როდის უნდა მოხდეს კომპეტენტური სახელმწიფო უწყების მიერ მისი საქმის განხილვა და მოემზადოს აღნიშნულისთვის.

დასკვნა

შესაბამისად, მსჯავრდებულ [REDACTED] სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების კანონით დადგენილი ვადის გამოანგარიშებისას მნიშვნელოვანი ხარვეზი გამოიკვეთა პენიტენციური დეპარტამენტის N8 დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან, რამაც შესაძლოა, თავის მხრივ გამოიწვიოს მსჯავრდებულის უფლებების არსებითი შელახვა მისი სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების პროცესში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით, რათა მსჯავრდებულ [REDACTED] სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობა შესაბამის ადგილობრივ საბჭოში კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში - 2020 წლის 12 ივნისს - იქნეს გადაგზავნილი.

⁴ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2020 წლის 23 მარტის N15-3/3401 წერილი.

⁵ N8 პენიტენციური დაწესებულების 2020 წლის 7 აპრილის № 93535/25 წერილი.

⁶ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2003)22 წვერი ქვეყნებისადმი პირობით გათავისუფლების შესახებ (ვადამდე გათავისუფლება), Rec(2003)22 რეკომენდაციის დანართი, მე-5 პარაგრაფი, ხელმისაწვდომია < <https://rm.coe.int/16800ccb5d> > [ბოლოს ნანახია 23.03.2020].

ამასთან, გთხოვთ, მაცნობოთ მოცემული წინადადების განხილვის შედეგები „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

დანართი: 19 (ცხრამეტი) ფურცელი.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

5-


